

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2017 წლის 10 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

ოქმი №4

ქ.მცხეთა

ანტიოქიის ქ №7 15:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - ჯემალ სოლოლაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას დაესწრო საკრებულოს სრული შემადგენლობის 27 წევრიდან - საკრებულოს 19 წევრი (დანართი - რეგისტრაციის სატაბელო ფურცელი), საკრებულოს აპარატის უფროსი - ოთარ ჩხეიძე, საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსი - მელანო მამაცაშვილი, საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - ბესიკ კოზმანაშვილი, საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი - ქეთევან აქიაშვილი, საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი - ქეთევან გაბინაშვილი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ სოლოლაშვილმა.

დამსწრეთა რაოდენობით, სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად.

თავმჯდომარემ წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემა, სოფელ ძაღისში მცხოვრები მოქალაქე ბექა ბზარაშვილის (პ/ნ 31001016926) მცირეწლოვანი შვილის - საბა ბზარაშვილის (პ/ნ 01350080246) სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ“. მომხსენებელი - ალექსანდრე თოდუა.
2. **საკითხი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემა, სოფელ ჯილაურაში მცხოვრები მოქალაქე მერაბ მახარაშვილის (პ/ნ 31001011372) სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ“. მომხსენებელი - ალექსანდრე თოდუა.
3. **საკითხი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული 2017 წლის იანვრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. მომხსენებელი - ოთარ ჩხეიძე.

- ✓ საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგის დამტკიცებაზე თავი შეიკავა საკრებულოს წევრმა - თემირ ლელუაშვილმა.



საკრებულოს წევრებმა ხელის აწევით, ხმათა უმრავლესობით თანხმობა განაცხადეს დღის წესრიგის დამტკიცებაზე.

სხდომის თავმჯდომარე გადავიდა საკითხების განხილვაზე.

- ✓ საკრებულოს სოციალურ კომისიის თავმჯდომარის ნინო ლაზვიაშვილის შვებულებაში ყოფნის გამო, საკითხები სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე, სხდომაზე წარმოადგინა ამავე კომისიის უხუცესმა წევრმა ალექსანდრე თოდუამ (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 37-ე მუხლისა და საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად).

მოისმინეს:

1. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემა, სოფელ ძალისში მცხოვრები მოქალაქე ბექა ზზარაშვილის (პ/ნ 31001016926) მცირეწლოვანი შვილის - საბა ზზარაშვილის (პ/ნ 01350080246) სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ“. მომხსენებელი - ალექსანდრე თოდუა.

მომხსენებელმა ალექსანდრე თოდუამ სხდომის მონაწილეებს გააცნო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 03 თებერვლის №05/4/1635 მომართვა, რომლითაც ითხოვენ თანხმობას, სოფელ ძალისში მცხოვრები მოქალაქე ბექა ზზარაშვილის (პ/ნ 31001016926) მცირეწლოვანი შვილის - საბა ზზარაშვილის (პ/ნ 01350080246) სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე, „სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

მოქალაქე საბა ზზარაშვილს აღნიშნება ლიმფოიდური ლეიკემია დაუზუსტებელი - ICD10 და ესაჭიროება თავის ტვინის და სხვა ქალასშიდა სტრუქტურების დამხმარე რადიოთერაპია - AAO 003; ZXOX30; ZXOX20. აღნიშნული მკურნალობის ღირებულება წარმოდგენილი წინასწარი ხარჯთაღრიცხვით შეადგენს 8 545 (რვაათასხუთასორმოცდახუთი) ლარს. მოქალაქეს აღნიშნული სამედიცინო მომსახურება უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით 7 825 (შვიდიათასრვაას ოცდახუთი) ლარი (სახელმწიფო ტარიფით 896 ლარი და 44 თეთრი).

მოქალაქე საბა ზზარაშვილი არის მცირეწლოვანი, მისი ოჯახი ეკონომიურად ძალზედ გაჭირვებულია და სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო დარჩენილი თანხის გადახდა არ შეუძლია. წილკნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მიხეილ სტეფნიაშვილის რეკომენდაციის საფუძველზე, გამგეობა ითხოვს საკრებულოს თანხმობას, მოქალაქე საბა ზზარაშვილის სამედიცინო მომსახურების, კერძოდ, 720 (შვიდასოცი) ლარით დაფინანსების თაობაზე.

საკრებულოს გადაწყვეტილება

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხზე და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დააფინანსოს სოფელ ძალისში მცხოვრები



მოქალაქე ზეკა ბზარაშვილის (პ/ნ 31001016926) მცირეწლოვანი შვილის საბა ბზარაშვილის (პ/ნ 01350080246) სამედიცინო მომსახურება 720 (შვიდასოცი) ლარის ოდენობით.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

საკითხი მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვეტეს: მიღებულ იქნას განკარგულება №8.

მოსმინეს:

2. **საკითხი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემა, სოფელ ჯილაურაში მცხოვრები მოქალაქე მერაბ მახარაშვილის (პ/ნ 31001011372) სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ“. მომხსენებელი - ალექსანდრე თოდუა.

მომხსენებელმა ალექსანდრე თოდუამ სხდომის მონაწილეებს გააცნო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 09 თებერვლის №05/4/1986 მომართვა, რომლითაც ითხოვენ თანხმობას, სოფელ ჯილაურაში მცხოვრები მოქალაქე მერაბ მახარაშვილის (პ/ნ 31001011372) სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე, „სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

მოქალაქე მერაბ მახარაშვილს აღნიშნება არასტაბილური სტენოკარდია, გულის უკმარისობა და ესაჭიროება აორტა-კორონალური შუნტირება-FNSA01; FNSC20. აღნიშნული მკურნალობის ღირებულება წარმოდგენილი წინასწარი ხარჯთაღრიცხვით შეადგენს 9 800 (ცხრაათასრვაასი) ლარს. მოქალაქეს აღნიშნული სამედიცინო მომსახურება უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით 6 860 (ექვსიათასრვაასამოცი) ლარის ოდენობით (სახელმწიფო ტარიფით 2940 ლარი).

მოქალაქე მერაბ მახარაშვილი ეკონომიურად ძალზედ გაჭირვებულია და სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო დარჩენილი თანხის გადახდა არ შეუძლია. საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის თამაზ მოძღვრიშვილის რეკომენდაციის საფუძველზე, გამგეობა ითხოვს საკრებულოს თანხმობას, მოქალაქე მერაბ მახარაშვილის სამედიცინო მომსახურების, კერძოდ, 2 940 (ორიათასცხრაასორმოცი) ლარით დაფინანსების თაობაზე.

საკრებულოს გადაწყვეტილება

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხზე და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დააფინანსოს სოფელ ჯილაურაში მცხოვრები მოქალაქე მერაბ მახარაშვილის (პ/ნ 31001011372) სამედიცინო მომსახურება 2 940 (ორიათასცხრაასორმოცი) ლარის ოდენობით.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

საკითხი მიღებულ იქნა ერთხმად.



გადაწყვეტეს: მიღებულ იქნას განკარგულება №9.

მოისმინეს:

3. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული 2017 წლის იანვრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. მომხსენებელი - ოთარ ჩხეიძე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ოთარ ჩხეიძემ წარმოადგინა 2017 წლის 8 თებერვლის №21/03/1 მოხსენებითი ბარათი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული 2017 წლის იანვრის თვის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 156-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის, მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის №50 დადგენილებით დამტკიცებული მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-16 მუხლისა და „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №47 დადგენილების შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) - თემირ ლელუაშვილს, თეიმურაზ მირესაშვილს, გიორგი ჭინჭარაულს, მიხეილ სტეფნიაშვილს, მირიან პავლიაშვილს, გურამ ანსიანს, ნუგზარ ჩანადირს, თამაზ ნათელაშვილს, თინა ხუბაშვილს, გიორგი სარდლიაშვილს, თამაზ ფოლოდაშვილს, დავით ვალიაშვილს და გიორგი კაჭარავას საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით 2017 წლის იანვრის თვის ხარჯები აუნაზღაურდეთ შემდეგი ოდენობით - 397 (სამასოთხმეოცდაჩვიდმეტი) ლარი და 50 თეთრი.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

საკითხი მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვეტეს: მიღებულ იქნას განკარგულება №10.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის ოქმი შეადგინა მ. მამაცაშვილმა.

16:00 სთ

სხდომის თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი